

შპს „ავტოკომპლექსი“  
ფინანსური ანგარიშგება და  
განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერი

**შპს „ავტოკომპლექსი“**

**ფინანსური ანგარიშგება და  
განმარტებითი შენიშვნები**

**2020 წლის 31 დეკემბერი**

**ფინანსური ანგარიშგება**

|                                    |   |
|------------------------------------|---|
| ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება | 3 |
| სრული შემოსავლის ანგარიშგება       | 4 |
| კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება  | 5 |

|                                                   |   |
|---------------------------------------------------|---|
| ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი<br>შენიშვნები | 6 |
|---------------------------------------------------|---|




შპს „ავტოკომპლექსის“ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით

| აქტივები                                      | 31.12.2020           | 31.12.2019          |
|-----------------------------------------------|----------------------|---------------------|
| <b>გრძელვადიანი აქტივები</b>                  |                      |                     |
| ძირითადი საშუალებები                          | 10,740.00            | 14,580.00           |
| არამატერიალური აქტივები                       |                      |                     |
| <b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>              | <b>10,740.00</b>     | <b>14,580.00</b>    |
| <b>მიმდინარე აქტივები</b>                     |                      |                     |
| სასაქონლო მატერიალური ფასეულობები             | 4 316,314.00         | 229,473.00          |
| სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება        | 5 17,444,898.00      | 1,377,852.00        |
| ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები         | 6 579,274.00         | 82,031.00           |
| <b>სულ მიმდინარე აქტივები</b>                 | <b>18,340,486.00</b> | <b>1,689,356.00</b> |
| <b>სულ აქტივები</b>                           | <b>18,351,226.00</b> | <b>1,703,936.00</b> |
| <b>საკუთარი კაპიტალი</b>                      |                      |                     |
| საწესდებო კაპიტალი                            | 2,000.00             | 2,000.00            |
| სხვა რეზერვები                                |                      |                     |
| გაუნაწილებელი მოგება                          | 3,987,655.00         | 1,336,843.00        |
| <b>სულ საკუთარი კაპიტალი</b>                  | <b>3,989,655.00</b>  | <b>1,338,843.00</b> |
| <b>ვალდებულებები</b>                          |                      |                     |
| <b>მოკლევადიანი ვალდებულებები</b>             |                      |                     |
| მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება            | 19,881.00            | 3,290.00            |
| გრძელვადიანი სესხები                          |                      |                     |
| საგადასახადო ანარიცხები                       | 657,704.00           | 76,561.00           |
| სავაჭრო და სხვა კრიდიტორული დავალიანება       | 7 13,683,986.00      | 285,242.00          |
| <b>სულ მოკლევადიანი ვალდებულებები</b>         | <b>14,361,571.00</b> | <b>365,093.00</b>   |
| <b>სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი</b> | <b>18,351,226.00</b> | <b>1,703,936.00</b> |

ხელმომწერი:

დირექტორი:





შპს „ავტოკომპლექსის“ სრული შემოსავლის ანგარიშგება  
2020 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით

|                                          | 31.12.2020          | 31.12.2019        |
|------------------------------------------|---------------------|-------------------|
| შემოსავალი                               |                     |                   |
| საქონლის გაყიდვიდან                      | 27,964,909.00       | 3147617           |
| სხვა                                     |                     |                   |
| სულ შემოსავლები                          | 27,964,909.00       | 3147617           |
| რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება    | -22473228           | -2614867          |
| დასაქმებულთა ანაზღაურება                 | -105612             | -105650           |
| ცვთა და ამორტიზაცია                      | -3840               | -7324             |
| ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი | -1200822            | -159784           |
| <b>სულ ხარჯები</b>                       | <b>-23783502</b>    | <b>-2887625</b>   |
| <b>საოპერაციო მოგება</b>                 | <b>4,181,407.00</b> | <b>259,992.00</b> |
| სხვა შემოსულობა                          | 238,556.00          | 37,672.00         |
| მოგება                                   | 4,419,963.00        | 297,664.00        |
| მოგების გადასახადი                       | 662,919.00          | 52,528.00         |
| <b>მოგება/ზარი</b>                       | <b>3,757,044.00</b> | <b>245,136.00</b> |

ხელმოწერი:



დირექტორი: /ალექსანდრე პავლიუკოვიც/



შპს „ავტოკომპლექსის“ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება  
2020 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით

| საწესდებო<br>კაპიტალი                      | გადაფასების<br>რეზერვი | გაუნაწილებელი<br>მოგება | მთლიანი<br>კაპიტალი |
|--------------------------------------------|------------------------|-------------------------|---------------------|
| 2019 წლის 31 დეკემბერი                     | 2000                   | 1336843                 | 1338843             |
| წმინდა მოგება                              |                        |                         |                     |
| სხვა სრული შემოსავალი                      |                        |                         |                     |
| პერიოდის სრული<br>შემოსავალი               |                        | 3757044                 |                     |
| გაუმჯობესებული<br>საწესდებო კაპიტალის ზრდა |                        | 1106232                 |                     |
| 2020 წლის 31 დეკემბერი                     | 2000                   | 3987655                 | 3989655             |

ხელმოწერილი:

დირექტორი:



პავლოვკოვეც/



## შპს „ავტოკომპლექსი“

### შენიშვნები ფინანსური ანგარიშგებაზე

2020 წლის 31 დეკემბერი

#### 1. შესავალი

##### ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმო „ავტოკომპლექსი“ /შემდგომში კომპანია/ საიდენტიფიკაციო ნომრით 225387881 იურიდიულ პირად დარეგისტრირდა 2005 წლის 29 აგვისტოს. საწარმოს საქმიანობის სფეროა საბითუმო ვაჭრობა ავტომობილების ნაწილებით და აქსესუარებებით (საბურავი, ნაწილები)

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

„კომპანიის“ სამუშაო ვალუტაა ლარი. უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციების თავდაპირველ აღრიცხვას „კომპანია“ აწარმოებს ოპერაციის თარიღისათვის დადგენილი ფუნქციონალური ვალუტის კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში გამოსატული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია საანგარიშგებო თარიღისათვის ფუნქციონალური ვალუტის სპოტ გაცვლითი კურსი შესაბამისად. სხვაობების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. უცხოურ ვალუტაში გამოსატული და პირვანდელი ღირებულებით ასახული არაფულადი მუხლები გადაყვანილია თავდაპირველი ოპერაციების თარიღებისათვის მოქმედი სავალუტო კურსების შესაბამისად.

#### 2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (მის ფასს) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტას.

მის ფასს სტანდარტის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მოითხოვს სამეურნეო ოპერაციებისათვის და მოვლენებისათვის სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევას და თანმიმდევრულ გამოყენებას. კომპანიის მიერ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2020 წლის დასაწყისისათვის და დასასრულისათვის, 2020 წლის სრული შემოსავლის და საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას, ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებას და შესაბამის განმარტებით შენიშვნებს.

ფუნქციონირებადი საწარმო

წინასწარი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებაზე. მენეჯმენტის შეფასებით, კომპანია გააგრძელებს ფუნქციონირებად საწარმოდ ფუნქციონირებას, რეალიზებას გაუჟოებს აქტივებს და დაფარავს ვალდებულებებს ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში.



## შპს „ავტოკომპლექსი“

### შენიშვნები ფინანსური ანგარიშგებაზე

2020 წლის 31 დეკემბერი

#### ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით, საიდანაც გამოკლებულია დაგროვილი ცვთა და/ან გაუფასურების შედეგად დარიცხული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ძირითადი საშუალების კაპიტალური რემონტის ხარჯის აღიარება ხდება ამ ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაში თუ მოსალოდნელია, რომ „კომპანია“ შედეგად მიიღებს თანმდევ სამომავლო ეკონომიკურ სარგებელს და თუ შესაძლებელია მისი ხარჯის სარწმუნოდ შეფასება. ყველა დანარჩენი შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯები გაწვევისთანავე აისახება მოგება/ზარალში.

ასევე ობიექტური აუცილებლობის შემთხვევაში, ხდება მათი გადაფასება მს ფასს მე-17 განყოფილების მოთხოვნათა დაცვით.

#### ცვეთა

ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს აქტივების ღირებულება განაწილდეს მათი გეგმიური საექსპლუატაციო ვადის ზემოთ ნარჩენი ღირებულების გამოკლებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში). შემდეგი საექსპლუატაციო ვადები გამოიყენება ავეჯის და სხვა ინვენტარის ცვეთისათვის:

#### აღიარების შეწყვეტა

- გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში: ან
- როდესაც მისი გამოყენებიდან ან გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც მისი აღიარება შეწყდა (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მს ფასს სტანდარტის მე-20 განყოფილება - „იჯარა“ - მოითხოვს განსხვავებული მიდგომის გამოყენებას, აქტივის უკუიჯარის პირობით გაყიდვის შემთხვევაში).

ასეთი სახის შემოსულობას არ ენიჭება ამონაგების კლასიფიკაცია. ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა (თუ ასეთ არსებობს) და მის საბალანსო ღირებულებას შორის.

#### არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით. შეზღუდული სარგებლობის ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებს ცვეთა ერიცხებათ წრფივი მეთოდით მომსახურების პერიოდის გათვალისწინებით.

განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე აქტივებს ამორტიზაცია ერიცხება ასევე წრფივი მეთოდით. ამასთან სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ცალკეული აქტივისათვის ინდივიდუალურად საუკეთესო შეფასების საფუძველზე იმ წინაპირობით, რომ ეს ვადა არ აღემატება 10 წელს.



## შპს „ავტოკომპლექსი“

### შენიშვნები ფინანსური ანგარიშგებაზე

2020 წლის 31 დეკემბერი

#### სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო -მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო -მატერიალური მარაგის თვითღირებულება ეყრდნობა FIFO მეთოდს და მოიცავს მარაგების შეძენის ხარჯებს, დამუშავების ხარჯს, სხვა ხარჯებს, რომელთა გაწევაც გახდა საჭირო მარაგების არსებულ მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მისაყვანად.

წმიდნა სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივ სამეურნეო პროცესში სავარაუდო გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულების მიახლოებითი ხარჯებისა და გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯების გამოკლებით.

#### ფინანსური ინსტრუმენტები

შსს ფასს მე-11 განყოფილების 11.2 (ბ) პუნქტის შესაბამისად, კომპანია ფინანსური ინსტრუმენტების აღრიცხვას აწარმოებს ბასს 39 მიხედვით.

#### ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

ბასს (IAS) 39-ის მიხედვით, ფინანსური აქტივები შემდეგ კატეგორიებს მიეკუთვნება: მოგებასა და ზარალში ასახული და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები, სესხები და მისაღები ანგარიშები, გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები.

ყველა ფინანსური აქტივის აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების დანახარჯები იმ თარიღისთვის, რომლითაც „კომპანია“ გახდა ინსტრუმენტთან დაკავშირებით გაფორმებული ხელშეკრულების მხარე.

#### აღიარების შეწყვეტა

„კომპანია“ წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც იწურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები აქტივიდან ფულადი სახსრების ნაკადების მიღებაზე ან როდესაც გადასცემს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ უფლებას ფინანსური აქტივიდან ფულადი სახსრების მიღებაზე ისეთი გარიგების საფუძველზე, რომლის მიხედვითაც ამ ფინანსური აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული, თითქმის ყველა რისკსა და სარგებელის გადაცემა ხდება. ნებისმიერი მონაწილეობა გადაცემულ ფინანსურ აქტივში, რომელიც „კომპანიაში“ შექმნა ან შეინარჩუნა აღიარდება ცალკე აქტივის ან ვალდებულების სახით.

#### ფინანსური ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ფინანსური ვალდებულებები ბასს (IAS) 39-ის შესაბამისად კლასიფიცირებულია, როგორც სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებაში ან ზარალში ასახული ვალდებულებები, სესხები და გადასახდელი ანგარიშები. „კომპანია“ თავისი ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციას განსაზღვრავს მათი თავდაპირველი აღიარებისას.



## შპს „ავტოკომპლექსი“

### შენიშვნები ფინანსური ანგარიშგებაზე

2020 წლის 31 დეკემბერი

„კომპანიის“ ფინანსური ვალდებულებები, რომლებიც მიეკუთვნება სესხებისა და გადასახდელი ანგარიშების კატეგორიას, მოიცავს სესხებსა და გადასახდელ ანგარიშებს და სხვა კრედიტორიულ დავალიანებებს.

#### ადიარების შეწყვეტა

„კომპანია“ ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების გაუქმების ამ ამოწურვის შემთხვევაში.

როდესაც არსებული ფინანსური ვალდებულება ჩანაცვლება სხვა ვალდებულებით იმავე კრედიტორის წინაშე, არსებითად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობების მნიშვნელოვანი ცვლილების შემთხვევაში, ასეთი ჩანაცვლება მიიჩნევა საწყისი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად, ხოლო სხვაობა შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის აისახება მოგება/ზარალში.

#### ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთჩათვლა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულების ჩათვლა ხორციელდება და წმინდა თანხით აისახება ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც „კომპანიას“ აქვს სამართლებრივი უფლება მოახდინოს ურთიერთჩათვლა და აპირებს განახორციელოს ურთიერთგაქვითვა ნეტო საფუძველზე, ან ერთდროულად მოახდინოს აქტივების რეალიზაცია და ვალდებულებების დაფარვა.

#### სამართლიანი ღირებულების შეფასება

სამართლიანი ღირებულება არის ფასი, რომლის მიღება შესაძლებელია აქტივის გაყიდვის შემთხვევაში ან რომელიც გადახდილი უნდა იყოს ვალდებულების გადაცემის შემთხვევაში ჩვეულებრივი გარიგების დროს ბაზრის მონაწილეთა შორის, შეფასების თარიღის მდგომარეობით. სამართლიანი ღირებულების შეფასება ეფუძნება ვარაუდს, რომ აქტივის გაყიდვასთან ან ვალდებულების გადაცემასთან დაკავშირებულ გარიგებას ადგილი აქვს:

- აქტივის ან ვალდებულების ძირითად ბაზარზე: ან
- ძირითადი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში, აქტივის ან ვალდებულებისათვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე.

როგორც ძირითადი, ისე ყველაზე ხელსაყრელი ბაზარი ხელმისაწვდომი უნდა იყოს „კომპანიისათვის“. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბაზრის მონაწილეები აქტივს ან ვალდებულების შეფასებისას იმოქმედებენ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური გთვალისწინებით.



## შპს „ავტოკომპლექსი“

### შენიშვნები ფინანსური ანგარიშგებაზე

2020 წლის 31 დეკემბერი

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ხარჯები.

სესხებთან დაკავშირებული ყველა სხვა ხარჯი აისახება მათი გაწევის პერიოდში. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ხარჯები შედგება პროცენტისაგან და სხვა დანახარჯებისაგან, რომლებსაც „კომპანია“ გაიღებს სესხის მისაღებად.

მოგების მიმდინარე გადასახადი

ზოგადად მოგების მიმდინარე საგადასახდო აქტივები და ვალდებულებები წარმოადგენს საგადასახადო ორგანიზაციისთვის გადასახდელ ან მათ მიერ დასაბრუნებელ თანხას. ამ თანხის გამოსათვლელად გამოიყენება ანგარიშების თარიღისთვის მოქმედი საგადასახდო განაკვეთები და კანონები. 2017 წლის პირველი იანვრიდან ამოქმედებული ე.წ. „ესტონური“ მოდელის შესაბამისად მოგების მიმდინარე გადასახადის ვალდებულება „კომპანიას“ არ გააჩნია და იგი დაბეგვრას ახორციელებს კანონით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, ქვემოთ ჩამოთვლილი შემთხვევების გარდა:

- თუ აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანიზაციისგან დაბრუნებას, რა შემთხვევაშიც დამატებული ღირებულების გადასახადის აღიარება მოხდება აქტივის შესყიდვაზე გაწეულ დანახარჯებში ან ხარჯის მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე.
- დებიტორული და კრედიტორული დავალიანება, რომელიც მოიცავს დამატებული გადასახადს. საგადასახადო ორგანიზაციისგან მიღებული ან მისთვის გადასახდელი დამატებული ღირებულების გადასახადის აქტივის ან ვალდებულების წმინდა თანხა ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების სხვა საგადასახადო დავალიანების მუხლში.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთებს.

შემოსავალი

შემოსავლების აღიარება ხორციელდება იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოდინება „კომპანიაში“, ამასთან შემოსავლების შეფასება შესაძლებელია რეალურად, მიუხედავად იმისა, თუ როდის განხორციელდა გადახდა. შემოსავლების შეფასება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით ხორციელდება გადახდის ხელშეკრულების განსაზღვრული პირობების გათვალისწინებით და გადასახადების ან მოსაკრებლების გამოკლებით. შემოსავლების აღიარება მდგომარეობს დაკმაყოფილდეს აღიარების შემდეგი სპეციალური კრიტერიუმები.



## შპს „ავტოკომპლექსი“

### შენიშვნები ფინანსური ანგარიშგებაზე

2020 წლის 31 დეკემბერი

საქონლის გაყიდვა

საქონლის გაყიდვის აღიარება ხდება მისი კონტრაგენტისათვის მიწოდებისთანავე, რაც ფიქსირდება შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტით.

მომსახურების გაწევა

მომსახურების გაწევის შედეგად მიღებული შემოსავლების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც მომსახურება გაწეულია და ანაზღაურების მიღების ალბათობა მაღალია.

აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარედ და გრძელვადიანად

„კომპანია“ აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მიმდინარედ და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მიმდინარეა, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მომხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- მოსალოდნელია მისი რეალიზება საანგარიშგებო პერიოდთან თორმეტი თვის ვადაში; ან
- აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცემა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ. ყველა სხვა აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მიმდინარეა, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა ნორმალურ სამუშაო რეჟიმში;
  - ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა
  - დასაფარია ანგარიშგების პერიოდთან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
  - არ არსებობს ვალდებულების დაფარვის ანგარიშგების პერიოდის შემდეგ მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება.
- ყველა დანარჩენ ვალდებულებას „კომპანია“ გრძელვადიან კატეგორიას მიაკუთვნებს.

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების რეზერვი

დებიტორული დავალიანების რეზერვი წარმოიქმნება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ მომხმარებელი ვერ აკმაყოფილებს გადახდის ვალდებულებებს, რასაც უმეტეს შემთხვევაში საფუძვლად უდევს აღნიშნული მომხმარებლის ვადაგადაცილებული დებიტორული დავალიანების არსებობა.



## შპს „ავტოკომპლექსი“

### შენიშვნები ფინანსური ანგარიშგებაზე

#### 2020 წლის 31 დეკემბერი

ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში არ გამოვლენილა.

#### 4. მარაგები

|                                  | 31-დეკ -2020 | 31-დეკ -2019 |
|----------------------------------|--------------|--------------|
| სასაქონლო მატერიალური მარაგი     | 308,190.00   | 222,356.00   |
| სხვა საქონლო მატერიალური მარაგი  | 8,124.00     | 7,117.00     |
| სულ სასაქონლო მატერიალური მარაგი | 316,314.00   | 229,473.00   |

#### 5. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

|                            | 31-დეკ -2020  | 31-დეკ -2019 |
|----------------------------|---------------|--------------|
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები | 17,079,645.00 | 971,946.00   |
| სხვა მოთხოვნები            | 365,253.00    | 405,906.00   |
| სულ სავაჭრო და მოთხოვნები  | 17,444,898.00 | 1,377,852.00 |

#### 6. ფული და ექვივალენტები

|                           | 31-დეკ -2020 | 31-დეკ -2019 |
|---------------------------|--------------|--------------|
| ფული და ექვივალენტები     | 579,274.00   | 82,031.00    |
| თანხა ბანკში              |              |              |
| თანხა საღარიბოში          |              |              |
| სულ ფული და ექვივალენტები | 579,274.00   | 82,031.00    |

#### 7. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

|                                   | 31-დეკ -2020  | 31-დეკ -2019 |
|-----------------------------------|---------------|--------------|
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები     | 13,673,470.00 | 267,624.00   |
| სხვა ვალდებულებები                | 10,516.00     | 17,618.00    |
| საბელფასო ვალდებულებები           |               |              |
| სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები | 13,683,986.00 | 285,242.00   |

#### 8. აღმინისტრაციული და სხვა ხარჯი

|                               | 31-დეკ -2020 | 31-დეკ -2019 |
|-------------------------------|--------------|--------------|
| აღმინისტრაციული და სხვა ხარჯი | 1,200,822.00 | 159,784.00   |
| ხარჯები                       |              |              |
| სულ ხარჯები                   | 1,200,822.00 | 159,784.00   |



## შპს „ავტოკომპლექსი“

შენიშვნები ფინანსური ანგარიშგებაზე

2020 წლის 31 დეკემბერი

კორონა ვირუსის სწრაფმა გავრცელებამ, რომელიც პანდემიად იქნა გამოცხადებული, გამოიწვია მიშენელოვანი არამდგრადობა, რომელიც გავლენას ახდენს გლობალურ ბიზნესსა და ეკონომიკურ საქმიანობაზე. ხელმძღვანელობა ყურადღებით აკვირდება მოვლენების განვითარებას და შესაძლო გავლენას კომპანიის საქმიანობაზე. თუმცა მათი შეფასებით, ზემოხსენებული ფაქტორი არ შეუშლის ხელს კომპანიას საქმიანობა განაგრძოს როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ.

ხელმოწერი:

დირექტორი:

  
/ალექსანდრე პავლიუკოვეც/



შპს „ავტოკომპლექსის“ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

| აქტივები                                      | 31.12.2020           | 31.12.2019          |
|-----------------------------------------------|----------------------|---------------------|
| <b>გრძელვადიანი აქტივები</b>                  |                      |                     |
| ძირითადი საშუალებები                          | 10,740.00            | 14,580.00           |
| არამატერიალური აქტივები                       |                      |                     |
| <b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>              | <b>10,740.00</b>     | <b>14,580.00</b>    |
| <b>მიმდინარე აქტივები</b>                     |                      |                     |
| სასაქონლო მატერიალური ფასეულობები             | 4 316,314.00         | 229,473.00          |
| სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება        | 5 17,444,898.00      | 1,377,852.00        |
| ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები         | 6 579,274.00         | 82,031.00           |
| <b>სულ მიმდინარე აქტივები</b>                 | <b>18,340,486.00</b> | <b>1,689,356.00</b> |
| <b>სულ აქტივები</b>                           | <b>18,351,226.00</b> | <b>1,703,936.00</b> |
| <b>საკუთარი კაპიტალი</b>                      |                      |                     |
| საწესდებო კაპიტალი                            | 2,000.00             | 2,000.00            |
| სხვა რეზერვები                                |                      |                     |
| გაუნაწილებელი მოგება                          | 3,987,655.00         | 1,336,843.00        |
| <b>სულ საკუთარი კაპიტალი</b>                  | <b>3,989,655.00</b>  | <b>1,338,843.00</b> |
| <b>ვალდებულებები</b>                          |                      |                     |
| <b>მოკლევადიანი ვალდებულებები</b>             |                      |                     |
| მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება            | 19,881.00            | 3,290.00            |
| გრძელვადიანი სესხები                          |                      |                     |
| საგადასახადო ანარიცხები                       | 657,704.00           | 76,561.00           |
| სავაჭრო და სხვა კრიდიტორული დავალიანება       | 7 13,683,986.00      | 285,242.00          |
| <b>სულ მოკლევადიანი ვალდებულებები</b>         | <b>14,361,571.00</b> | <b>365,093.00</b>   |
| <b>სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი</b> | <b>18,351,226.00</b> | <b>1,703,936.00</b> |

ხელმომწერი:

დირექტორი: /ალექსანდრე პავლიუკოვიც/



შპს „ავტოკომპლექსის“ სრული შემოსავლის ანგარიშგება  
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

|                                          | 31.12.2020    | 31.12.2019 |
|------------------------------------------|---------------|------------|
| შემოსავალი                               |               |            |
| საქონლის გაყიდვიდან<br>სხვა              | 27,964,909.00 | 3147617    |
| სულ შემოსავლები                          | 27,964,909.00 | 3147617    |
| რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება    | -22473228     | -2614867   |
| დასაქმებულთა ანაზღაურება                 | -105612       | -105650    |
| ცვეთა და ამორტიზაცია                     | -3840         | -7324      |
| აღმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი | -1200822      | -159784    |
| სულ ხარჯები                              | -23783502     | -2887625   |
| საოპერაციო მოგება                        | 4,181,407.00  | 259,992.00 |
| სხვა შემოსულობა                          | 238,556.00    | 37,672.00  |
| მოგება                                   | 4,419,963.00  | 297,664.00 |
| მოგების გადასახადი                       | 662,919.00    | 52,528.00  |
| მოგება/ზარი                              | 3,757,044.00  | 245,136.00 |

ხელმომწერი:

დირექტორი: /ალექსანდრე პავლიუკოვიც/



შპს „ავტოკომპლექსის“ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება  
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

|                              | საწესდებო<br>კაპიტალი | გადაფასების<br>რეზერვი | გაუნაწილებელი<br>მოგება | მთლიანი<br>კაპიტალი |
|------------------------------|-----------------------|------------------------|-------------------------|---------------------|
| 2019 წლის 31 დეკემბერი       | 2000                  |                        | 1336843                 | 1338843             |
| წმინდა მოგება                |                       |                        |                         |                     |
| სხვა სრული შემოსავალი        |                       |                        | 3757044                 |                     |
| პერიოდის სრული<br>შემოსავალი |                       |                        | 3757044                 |                     |
| გაცემული დივიდენდი           |                       |                        | 1106232                 |                     |
| საწესდებო კაპიტალის ზრდა     |                       |                        |                         |                     |
| 2020 წლის 31 დეკემბერი       | 2000                  |                        | 3987655                 | 3989655             |

ხელმომწერი:

დირექტორი: /ალექსანდრე პავლიუკოვიც/